

დღის წესრიგი

ევროპის ტრენინგების ფონდისა (ETF) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ერთობლივი კვლევის „ინკლუზიური უნარები სოფლის მეურნეობის სექტორში ინოვაციური საწარმოების განვითარებისთვის COVID-19 შემდგომ“ პრეზენტაცია

შეხვედრა იმართება ონლაინ ფორმატში, ZOOM პლატფორმის გამოყენებით, 2021 წლის 3 ივნისს, ცენტრალური ევროპის დროით 09:30 – 12:30 (თბილისის დროით 11:30-14:30) საათზე გაიმართება

აღწერა

კვლევითი პროექტი „ინკლუზიური უნარები სოფლის მეურნეობის სექტორში ინოვაციური საწარმოების განვითარებისთვის COVID-19 შემდგომ“ 2020 წლის სექტემბერში დაიწყო COVID-19 პანდემიისა და მის მიერ გამოწვეული ზიანის საპასუხოდ, რაც მოიცავდა ეკონომიკურ დადამსვლას, შრომითი ბაზრის შემცირებას და საწარმოთათვის ახალი გამოწვევების გაჩენას. პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა არსებული უთანასწორობა, მათ შორის, ციფრული და გენდერული დაყოფა, თუმცა, ამავდროულად, ხელი შეუწყო ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში სტრუქტურული და საოპერაციო ცვლილებების დაჩქარებას, რასაც შრომის ორგანიზებაზე გრძელვადიანი შედეგი აქვს. სოფლის მეურნეობის სექტორში შესაბამისი მიმდინარეობების შესახებ მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ევროპის ტრენინგების ფონდმა (ETF) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) მოამზადეს ანგარიში ინოვაციური საწარმოების განვითარებისთვის საჭირო ინკლუზიური უნარების შესახებ, რაც ეფუძნებოდა ETF და EBRD-ს ხუთ პარტნიორ ქვეყანაში - საქართველოში, მოროკოში, სერბეთში, თურქეთსა და უზბეკეთში ჩატარებულ გამოცდილების კვლევას. ანგარიშში გაანალიზებული და შედარებულია სხვადასხვა ქვეყნების და კონტექსტის ინოვაციური აგრობიზნესის საუკეთესო მაგალითები. აქვე დეტალურადაა აღწერილი გამოწვევები, შესაძლებლობები, მიმდინარე პოლიტიკა და კერძო

სექტორის გამოცდილება, რაც კავშირშია აგრობიზნესის სექტორში ინოვაციასა და ინკლუზიური უნარების განვითარებასთან ხუთივე ქვეყანაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა COVID-19 პანდემიით გამოწვეულ პრობლემებს. ანგარიშის მიზანია გაადლიეროს ცოდნა აგრობიზნეს სექტორში ინოვაციისა და უნარების განვითარების შესახებ, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეებს შორის ცოდნის გაზიარებას და გაავრცელოს პოლიტიკისა და კერძო სექტორის ინიციატივების საუკეთესო პრაქტიკა ევროკავშირის მეზობელი და ცენტრალური აზიის ქვეყნებში COVID-19 პანდემიის პირობებში და მის შემდგომ.

უფრო კონკრეტულად, ანგარიშში ასახულია ციფრული და ელექტრონული კომერციის სფეროებში არსებული სწრაფი განვითარების მაგალითები და შესაბამისი უნარების ზრდა. სხვა ახალ უნარებთან ერთად აქ ასევე ნაჩვენებია ისეთი უნარების ზრდის მოთხოვნაც, რომელიც უკავშირდება სასოფლო პროდუქტების წარმოების პროცესის „გამწვანებას“, მიწოდების ქსელსა თუ მონაცემთა ბაზების მართვას. პოლიტიკის დონეზე ანგარიშში აღწერილია კერძო სექტორის გაზრდილი ჩართულობა ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, მათ შორის სექტორულ კერძო-საჯარო უნარების ინიციატივაში. საწარმოთა მაგალითები აჩვენებს, რომ არსებობს რამდენიმე გლობალური ინოვაციური აგრობიზნეს ფორმა, რომელიც უნარებში აკეთებს ინვესტირებას, ხშირად თანამედროვე, კომპანიის შიდა სასწავლო ცენტრებისა და შიდა ტრენინგების მეშვეობით. ადგილობრივი პოლიტიკის ანალიზი განიხილავს, თუ როგორ შეიძლება ამ კარგი პრაქტიკის, ანუ, „წარმატების კუნძულების“ დაკავშირება ღირებულებათა ჯაჭვის სხვა რგოლებთან გამოცდილების გაზიარების, ინოვაციური მიდგომებისა და ინკლუზიური უნარების განვითარებისთვის.

კვლევა მომზადდა Ergon Associates კონსულტანტების მიერ, რომელთა სპეციალიზაცია ინკლუზიური შრომითი ბაზრის, უნარებისა და შრომის სამომავლო პერსპექტივების კვლევა და ანალიზია.

ამ სემინარის მიზანია მონაწილე ქვეყნების დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინოს ანგარიში და მისი შესაძლო ზეგავლენა პოლიტიკის შემქმნელებსა და აგრობიზნესის სხვა მხარეებზე.

ხუთშაბათი, 3 ივნისი, 2021 წელი, 09:30 – 12:30 CET

(თბილისის დროით 11:30-14:30)

მოდერატორი: ერიკა დავოლიო, პროექტების ოფიცერი, ETF

დრო	სესია	სპიკერები
09:30 – 09:45	მისალმება შესავალი	მანუელა პრინა, განყოფილების ხელმძღვანელი, ETF მარგერიტა ქალდერონე, მთავარი ეკონომისტი, EBRD
09:45 – 11:00	კვლევის მიგნებების პრეზენტაცია კითხვა-პასუხი	ალასტარ უშერი, დირექტორი და თანადამფუძნებელი, Ergon
11:00 – 12:00	შესვენება	

<p>11:15 – 12:00</p>	<p>პანელური განხილვა პოლიტიკის მიმართულებების შესახებ</p>	<p>ფასილიტატორი: ანასტასია ფეტსი, ადამიანური კაპიტალის განვითარების ექსპერტი, ETF</p> <p>თამარ ქიტიაშვილი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სერბეთი</p> <p>სნეჟანა კლანჯა, მინისტრის მრჩეველი, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო, სერბეთის რესპუბლიკა</p> <p>ოუზპან ბესლი, კადრების დირექტორი, Anadolu Etap, თურქეთი</p> <p>თემურბეკ რეიმოვი, CADI რეგიონალური დროებითი სამდივნოს კოორდინატორი, FAO უზბეკეთი</p> <p>საიდა ოუარზანე, აგრეგაციის განყოფილების უფროსი, ADA, მოროკო</p>
<p>12:00 – 12:15</p>	<p>დასკვნა</p>	<p>ანასტასია ფეტსი, ადამიანური კაპიტალის განვითარების ექსპერტი, ETF</p> <p>მარგერიტა ქალდერონე, მთავარი ეკონომისტი, EBRD</p> <p>ალასტარ უშერი, დირექტორი და თანადამფუძნებელი, Ergon</p>